

1923

10

7169

# சுந்தரவணிகம்



சுந்தரவணிகம்

24

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# მშენებელი

წიგნი 1919 წლის

№ 10.

წ. 1923

247.



ქვეყანა ჩემია.

საბავშვო ჟურნალი  
თბილისი  
საბავშვო ჟურნალი

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ქვეყანა ჩემია, —სურ . . . . . 1
  2. ილოს წერილი დედასთან, —ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . . 3
  3. ჩიტების ომი, —სოფრომ მგალობლიშვილის . . . . . 4
  4. რაკის ბავშვებს, —ლექსი შიო მღვიმელის . . . . . 13
  5. ზღვის ჩიტები, —ცქვიტის . . . . . 14
  6. ნაცარქექია კიკილა, —ზლაპარი-ამბავი, პიესა სამ მოქმედებად,  
დ. ნახუცრიშვილისა . . . . . 15
  7. ძალლი და კატა, —ოვ. თუმანიანის, თარგ. ი. გრიშაშვილისა . 25
  8. საშინელი მიწისძვრა იაპონიაში, —ძია სიმონისა . . . . . 30
-



## ილოს წვილი დედასთან.

სოფლიდან ქალაქში.



კბილო,  
თბილო,  
გულკეთილო  
დედავ!  
შენი ილო  
ძილშიაც შენ გხედავს.  
თუმცა მთელ დღეს  
ღვჭენაობ ველში,  
აკიდოსაც მიჭრინ აქ,  
რთველში,—  
მაგრამ, დედავ,  
შენ რომ ვერა გხედავ,  
ვდარდიანობ,—  
კენაცვალე ველში!  
იცოდე, რომ ავტირდები  
დედი,  
თუ სოფელში  
დროზე არ მოხვედი!



გ. ქუჩიშვილი.

.....





## ჩიტების ომი.

I.

ატარა სერზე, სოფელ ხეუბი, მელანია დიდუბელს, ამ სოფლის მ-

სწავლებელს, სამოთახიანი კოსტა სახლი ედგა. ქმარი კაი ხანია, რაც მოუკვდა და თავი დასდო ერთადერთს ვაჭიძვილ თეიმურაზზე, რომელსაც დედა და ძთელი სოფელი მურაზას ეძახდა.

ამ სერის ძირობაზე, იქვე მელანას სახლის ახლო, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაზე, საჩქევაი რუ იყო გაუვანილი. ამ რუს მისდევდა მწკვრივად სოფლის ბაღ-ვენახები, ხილიან-ევაგილიანი. თვალწარმტაცი სახასავი იყო ძთელი მიდამო მელანას აივნიდან.

მურაზა დედამ ჯდრე ადგომას და ფეხშიშველად სიარულს მიაჩვია. მურაზა დილით მშეს აასწრებდა ხოლმე, მაშინვე ჩაირბენდა თავის ვენახში; ნამიან ბალახით ფეხები დაეხინებოდა; დაჭკრეფდა საჩქაროდ ვარდსა და სხვა ევაგილებს, ნამიან კიტრებს, შეჭკონავდა ევაგილებს და დედას ამოურბენინებდა; არც ღიჭა და მულო ბალახი დაავიწეებოდა თვისი საუკარელი ნიშა სბოსა და ბატკნისათვის, რომლებიც იმას უუვარდა, უვლიდა, სწმენდდა, ფაქიზად ინახავდა, სულ დაბ-

სწინილი დაჭეუვდა. დედას იამებოდა, ატკობობდა შვილის ასეთი გამძრჯელობა, შუბლს გადაუკონცინდა სოლმე და აქეხებდა.

სახლის აივანსე, რომელიც ბელ-ვენახებს გადასცქეროდა და რომელსაც დასაუღეთ-ადმოსაუღეთის მხრივ ჩრდილაკდა ჯერ კიდევ ნორჩი ცაცხვის სეები, ბოძის უბანთან მერცხლებს დიდი ხანია ბუდე ჰქონდათ მიშენებული. დადგებოდა თუ არა გაზაფხული, მურაზა სულ იმის ნატვრაში იყო, როდის მოფრინდებოდნენ მერცხლები და თვისი ჭიკჭიკით გაამხიარულებდნენ აივანსა. მაგრამ მურაზას ამ დროს ერთი დარდი გაუჩნდა, ჭიანჭავით ჩაუძვრა ნორჩ გულში, უღრღნიდა გულსა და მოსვენებას არ აძლევდა: მერცხლების ბუდეს ერთს მვენიერ დღეს ბელურა ჩიტები დაეპატრონენ. მამალი ბელურა, მოწითალო ფრთებიანი, მუდამ აბუსუული და ცანცარა, ძალიან აბეზარი ვინმე იყო. მერცხლების ბუდეს კარი გამოუნგრია, მოაგანიერა, დაუწყო თვისი მეუღლით, ნაცარა ბელურათი, ბუმბულს, თივისა და ნამჯის ღეროებს წიღვა, თავისებურად აწუბოდა მერცხლების ბუდის დარბაზსა. როცა დედელი ბელურა გაფრინდებოდა ბუდის მასალის მოსატანად, მისი მეუღლე, მამალი ბელურა, ჩამოფრინდებოდა აივანის იატაკსე, აიბურმკლებოდა, ფრთებს აიერიდა, დახტოდა, დაცინცილობდა, ბუდეს სდარაჯობდა, რომ მერცხლებს არ მოესწროთ, არ შემოჭმარიევნენ.

მურაზა ძალიან სწუსდა, რომ ეახადმა ბელურამ მერცხლის ბუდე დაიხემა. მუდამ დღე აფრთხობდა ბელურებს, ერეკებოდა, უქმევადა, მაგრამ მოარიდებდა თუ არა თავსა, ბელურები კვლავ მეუდგებოდნენ დაწეებულ მუშაობას, და ვინაიდან კვერცხის დადების და აკრუსების დრომ მოატანა, დე-

დალი ბელურა ძალიან ჩქარობდა ბუდის მოთავეებს. ეს მათი ფაცაფუცი მურასას თვალს არ გამოეპარა: ერთ დილას აიღო ვრძელ ტარინი საკველი და ცდილობდა ბუდე ჩამოეშალა. მეუღლე ბელურები აურსაურინი ჭეიზინით გაფრინდნენ. მოხდა საკვირველება: ერთიც ვნახოთ, ჭეიზინ-ჭეიზინით მოფრინდა მთელი ჯარი ბელურებისა ბუდის ამქმნებლის ძამალი ბელურას მეთაურობით, დაესხენ ჯარად თავძიმველა მურასას, ბრჭყალებით და ჩაქუჩა ნისკარტებით სულ დაუკაწრეს თავპირი. დატრიალდა მურასაც, იქნევს სელებს, საკველსა, იშორებს ბელურებს, მაგრამ იმათ მაინც იერიში იერიშზე მიჭქინდათ. მურასამ უკივლა დედას; დედა და მესობელი დედაკაცი მათა, მელანას პროხის მწველელი, აივანზე ამოცვინდნენ. რა იხილეს ეს ბრძოლა, გადინახნარეს და მებრძოლნი გააშველეს.

— ე რა უჩაღები უოფილან, დედიკო, ჭაა?

— რა ქნან, ჩემო კარგო! უველა თავისთვის ცდილობს.

— სხვას რო? არ წაართვან, სხვაგან სადმე გაიკეთონ ბუდე, რა?

— მაგათშიაც, შვილო, როგორც ჩვენში, ადამიანებში, მუქთა მჭამელნიც არიან. სომ გახსოვს, მე რომ გუგულის შესახებ ამბავი წაგიკითხე. ბელურები მაინც არის სხვის ბუდეს თავისებურად გადაწკეთებენ, მაინც მუშაობენ; გუგული კი ბუდეს არ იკეთებს, ამისათვის ის თავს არ იცხელებს, მონახავს სხვადასხვა ფრინველთა ბუდეებს, ჩაუდებს იქა-იქ კვერცხებს, სხვები უჩეკავენ და უზრდიან შვილებსა, რომელთაც გუგული სულაც არ იცნობს... ბელურები ამას მაინც არ შერებიან.

— არა, დედა! მე მაინც ბუდეს ავუგლეჯ, რაც უნდა მომივიდეს. წავიდენ და სხვაგან გაიკეთონ... მართლა, დედიკო, კარგი ახრი მომივიდა...

— აბა, რა?

— ჩვენს გალიას ჩამოვიდებ, კარს გაუვლებ და იქ გააკეთონ ბუდე...

— ბელურებს ვერ მოატყუებ. ჩიტებში უველახე უფრო ეშმაკი კუდრაჭა ბელურაა. გახსოვს, შარშან სამთარში კაკანათები რომ დაუდგი, აბა თუ ერთი ბელურა გაება შენს კაკანათში: მოფრინდებოდენ, ბზესე მიირბენ-მოირბენდენ, შენგან ძაფსე ჩამოკონწიალებულ ჰურის მარცვალს კი არ ვეკარებოდენ. მართალია, ერთი თამაში ბელურა გაბრიუვდა, კაკანათში მოჭევა, მაგრამ დანარჩენებმა საფრთხე იგრძნეს და ჩამოკონწიალებულ მარცვალს აღარ მიეკარენ.

— მამ ჩემს მერცხლებს რა ეშველებათ?

— აქვე სხვა ბუდეს ააშენებენ.

— ბელურებმა რომ არ მოუშვან?

— მერცხლები ჯერ თავის ბუდეს მონახავენ, თუ ბელურები არ მიუშვებენ, მაშინ სხვა ბუდეს გაიკეთებენ. ჩემო შვილიკო, ფრინველებშიაც არის ერთმანეთის მიშველება, ამხანაგებს მიიშველიებენ და ამ აივნის მეორე ბოძის ებაზე ახალ ბუდეს მიაწებებენ, უფრო კარგს და კონტა ბუდესა... დავაცადოთ, შვილიკო, ჯერ ნურას ერჩი ბელურებსა, მოვლენ უცხოეთიდან სამშობლოში ჩვენი მერცხლები და თვით მოურიგდებიან ბელურებსა.

II.

მურაზა ძილი იყო თუ მღვიძარი, სულ მერცხლების

ფიქრსა და მოლოდინში იყო. ენატრებოდა მათი მალე მო-  
 ფრენა და ბელურებთან შესვედრა.

მარტი მიიწურა... გასაფხული უკვე გაშეფდა, ველ-მინ-  
 დორი ახავერდდა. მოძიებით აივსო სოფელი. დაფათურობენ,  
 დაეძებენ საბუდრებს. აქა-იქ პერცხლებიც კანნიდენ. მურაზას  
 იმედი მოეცა. მას იმის მერცხლებიც მალე მოვლენ. უხარია,  
 იმედით თვალები უბრწყინავს.



დალაშდა. ბინდმა მოიცვა არე. მურაზას მინავს. დედა  
 ძელანია ხელსაქმობს. მურაზა მიღში ლაპარაკობს:

— ჭო, ახლა კი მოფრინდენ... ჭაი! ბელურებო .. თქვე-



ნი რჯული... დედამ დახედა შვილის მხიარულს, მომცინარ  
სახესა. იამა, რომ იმის შვილიკოს მიღმიაც კი არ შორ-  
დება მერცხლების სიევარული.

მურაზას აუსდა სიზმარი... ძილ-ღვიძილში შეესმა საამო  
ჭიკჭიკი. ეს ბელურების ჭეიზინს არა ჰგავს, ალბად მისი  
მეგობარი მერცხლები მოფრინდენ და ჭიკჭიკით სალამს ამ-  
ლევენ.

მურაზა ლოკინიდან წამოვარდა, პერანგა კავარდა აი-  
ვანზე. დაინახა თვისი მეგობარი მერცხლები; ჭიკჭიკობენ,  
თვისს სახლს, ბუდეს, თავს დასტრიალებენ, აფრინდებიან  
ბუდის კარებს. დედალი ბელურა ბუდიდან ნისკარტით იგე-  
რიებს მერცხლებსა. მერცხლებიც შარდად აუვლ-ჩაუვლიან  
ბუდეს და ბელურას კოდალა თავში ფრთებს უფართოებენ.

მურაზა სვირს უცქერის, უხარია მერცხლების სიძარდე-  
სად იყო და სად არა, გაჩნდა მამალი ბელურა, ციბრუტი-  
ვით დატრიალდა და თავისი ჩაქუნა-ნისკარტით იგერიებს  
მერცხლებსა. მურაზამ დედას დაუძახა. გამოვიდენ აივანზე  
დედა და მეზობელი ძაია.

— ეკენი, შვილო, — დაიწყო ძაიამ, — ისეთი კუდიანე-  
ბი და აბეზრებია, რომ მერცხლებს ბუდეს არ დაანებებენ.  
ოსივით ჯავრის ამოურა იციან. უცნაურს ამბავს კიამბობთ  
ბელურების ოინზე. ბანზე გარეცხილს ჰურის ხორბალს  
უფენდი ხოლმე გასაპრობად. მეჭირა ფინისის ტოტი, ქათმებს  
კუქმევდი; ბელურები ხანერთი მხრიდან მომეყოდენ, ხან მე-  
ორე მხრიდან, მიკენკავდენ და მიღავებდენ ჰურსა. გვერდზე  
ფინია ძაღლი მიწვა ხოლმე. გონიერი ზირუტევი ისე გაი-  
წვრთნა, რომ ქათმებს ვრეკებოდა, ასე რომ ჰურს ჩემი მო-

დგომა აღარ სჭირდებოდა, ფინიას შიშით ქათამი ვეღარ გაიჭაჭანებდა სოღმე. ბელურებსაც აფრთხოებდა, მაგრამ ისინი მაინც უჭირვებდნენ საქმესა: ერთი მხრიდან გარეკავდა, მეორე მხარეს გადაუფრინდებოდნენ, ფინია მაინც საძველს არ აძლევდა. ერთხელ დერეფნის კარებში ვდგავარ. ფინიას გაშლილი ჭილოფის ზირას წასმინებია. უცბად დაესია ბელურების ჯარი, მძინარეს დააფრინდნენ და სულ ეურები დაუკორტნეს. ფინია წკმუტუნით წამოვარდა, მიესია ჯარსა, მაგრამ ბელურები გაფრინდნენ და მე კი სიცილი აწივარდა.

ამ ლაზარაკის დროს მოფრინდა მამალი ბელურა, ბუდის კარებს მიაჯდა, შესჭვიზინა მეუღლეს, ნისკარტი მიაღო და დედალი გამოაფრინა. თვალს მიეფარნენ.

მურაზას გული დაუმშვიდდა. მერცხლები დატრიალდნენ, მეცვინდნენ ბუდეში. ბრჭყალებით და ნისკარტებით ბელურებისაგან მოტანილს ბუძბულსა და თივას ერა დაუწვეს...

არ გაუვლია დიდ ხანს. უჩაღი ბელურა თვისი მომძვების ჯარს მოუძღვის... გაჩაღდა ომი. ეცნენ მურაზას მერცხლებს და კუდით ქვა ასროლინეს.

— აი, მეხე, მეხე! რა ჭქნეს მაგ კუდიანებმა! ავი გითხარით, ოსივით იციან ჯავრის ამოურა მეთქი, — უთხრა მურაზას მათამ, თავზე ხელი გადაუსვა და მიესაუფარლა.

— დამაცადონ, მე მაგათ, მაგ არამწაღებსა, ბუდეს ჩამოვუძლი.

უცებ მოფრინდა ახლა მერცხლის ჯარი. შეიქნა მათ შორის ფიცხელი ომი. თუმცა სიმარდით მერცხლები სჯობნიდნენ, მაგრამ ბელურები არა ჩქარობდნენ, თუ რომელიმე მერცხალს ჩაიგდებდნენ, სულ ბურტულისაგან სცლიდნენ. ჩაქუ-






ჩა-ნისკარტით და კორტნით ასისხლიანებდენ, იერიში იერიშზე მიჰქონდათ, შერცხლები მიჰკუნჭეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უნისკარტებდენ.

იმლიენ შერცხალნი.

III.

მურაზამ ძალიან მოიწუინა: ბედურებმა შეკობრები გაურეკეს და როგორ არ უნდა შეწუხებულიყო! გადხსწევითა დილაზე ბუდე ჩამოუშალავს და ეახალი ჩიტები განდევნავს.



ჯერ მურაზას ისევ ეძინა, რომ შემოესმა დილა-ადრინ მხიარული ჭიკჭიკი შერცხლებისა. მურაზა სწრაფად მიიჭრა ფანჯარასთან და ზირდაღებული გაიციქირებოდა.

მერცხლებს უკვე დაეწოთ მუშაობა და მეორე ბომის ებასე ახალ ბუდეს აშენებდენ. მერცხალთა რამდენიმე წეება მიდი-მოდოდა, მოჭკონდათ ნისკარტებით და ბრჭყალებით მახალა და აწებებდენ ბომსა. მთელ დღეებს, დილიდან საღამომდე, მუწუწვეტლად კალატოზობდენ. მალე ააშენეს ბუდე და გარედან მოაღამაშეს. შესავალი კარი ისე მოაწვეს, რომ მხოლოდ ერთი მერცხალი შეძვრებოდა, შიგნით დარბაზი კი ფართო გააკეთეს.


აბეზარი მამალი ბელურა შესცქეროდა მერცხლების მუშაობას, მაინც დარაჯად უდგა წართმეულ ბუდეს, არ შორდებოდა მას, ამაყად და თავმომწონედ დასეირნობდა აივნის იატაკზე. მისი მეუღლე, დედალი ბელურა, ტკბილად განისვენებდა ბუდეში, მოკრუსულიყო კვერცხებსე და ძილმორეულ თვალებს წამისწამ კრუტავდა. ხანდისხან ბუდიდან გამოუჭეიპინებდა თავის რაინდ მეუღლეს, ისიც სწრაფად მოფრინდებოდა, ნისკარტს ნისკარტზე მოუცაცუნებდა, ჩაჭკოცნიდა, ჩაჭკოცნიდა მეუღლეს და ისევე სადარაჯოზე გაეშურებოდა.


— აკი გითხარნი, ჩემო შვილო, ჩიტები თვითონ მორიგდებიან მეტი. ბელურებმა ღონით აჯობეს, მერცხლებმა კი ჭკუითა; ჩაცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, იფიქრეს და ახალი ბუდე გაიკეთეს, ძველი კი ბელურებს დაუტოვეს. მათი ომი შერიგებით გათავდა...

მურახა ზირდაღებული იდგა, იდგა, საოცრებისა გამო ტამი დაჭკრა და წამოიძახა:

დედა—დედა! ეს რა ვნახე!?!...

სოფრომ მალობლი შვილი.





## რ აჭის ბავშვებს.



ბავშვებისათვის, ბავშვებს,  
წრფელის სულით და გულთა,  
მუდამ ხალისით ახალი  
ბუნების სიუყვარულითა.

მე თქვენში ვხედავ ბუნების  
ღამაზ ვარდსა და იასა,  
თქვენი სიცოცხლე ახარებს  
ჭაღარა შერთულ მიასა.

სული და გული, თვალ-ეური  
სულ თქვენკენ შქონდა რებული,  
მომავლის კარგი იმედი  
თქვენსეა დამუარებული.

აუვაჟდით, ფრთები გაშალეთ,  
სიმხსევით შემოსილებო,  
დიდი ბუნების ორსებო,  
დიადი მთების შვილებო!...

სალამი, კიდევ სალამი  
უხვი და დაუღეველი,  
უკეთამც ავიუვაჯდებთ  
რატის მთა, რატის ტყე-ველი!

შოი მღვიმელი.



## ზ ღ ვ ი ს ჩ ი ტ ე ბ ი .



ივის, ელისბარსა და შოთას ზღვის ზირად უოფნა ძლიერ უეგარდათ. ისინი ხან მრავალფერ კენჭებს ჰკრეფდენ, ხან ახლო მის ნაპირს დადგებოდენ, შოთასავით აგორებულ ტალღას უცდიდენ და თან გამაღებული ვვიროდენ:

— მოდის, მოკორავს, მოდის!

მაგრამ შედუღებული ტალღა ნაპირზე რომ გადმოეზარცხებოდა, ისინი ხარხარით უკან გარბოდენ. შემდეგ კენჭების წკრილით ტალღა რომ უკანვე გაბრუნდებოდა, ბავშები კენჭებსე დატოვებულ ბამბასავით ქაფს შეერეოდენ და წინა და უკან დასტოდენ. იმით ძლიერ უეგარდათ, როდესაც ქაფი შიშინით მათ ფეხებსე ადნებოდა. შემდეგ მზე რომ კარგად გადმოიწვევებოდა და წმინდა ქვიშას მთლად გააშრობდა, ისინი ქვიშისაგან ბუდეს იკეთებდენ, სრულიად ტიტყლები შიგნსდებოდენ და ბარტყებივით ქლურტყულობდენ. ზღვაც იმათ კვერდით განუწვევტლივ ბუტბუტებდა და ჩუმიდ ეურში ჩასხურჩულებდა: „აი, თქვე ცელქებო, რას არ მოიკონებთო!“



## ნაცარქექია კიკილა.

ზღაპარი — ამბავი სამ მოქმედებად.

### მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

- |                            |                                     |
|----------------------------|-------------------------------------|
| 1. კიკილა ნაცარქექია.      | 6. პირველი ყაჩაღი.                  |
| 2. მართა ქვრივი.           | 7. მეორე ყაჩაღი.                    |
| 3. გიო                     | 8. პატარა მწყემსი და სხვა ბავშვები. |
| 4. თამრო   მართას შვილები. |                                     |
| 5. დევი.                   |                                     |

### მოქმედება პირველი.

#### გ ლ ე ხ ი ს ლ ა რ ი ბ უ ლ ი ო ჯ ა ხ ი.

(კიკილა, გიო და თამრო პუხართან სხედან. კიკილა ჯოხით ნაცარს ჰქექავს, ბავშვები აქეთ-იქიდან უსხედან. სმსავე ზურგი შექცეული აქვთ კარისკენ. მღერაინ).

**გიო.** ძიავე, შენი კირიმე, ახლა გვიამბე რამე...

**თამრო.** გვიამბე, ძიავე, გვიამბე...

**გიო.** მეგრე რა კარგი იყო, წელან რომ მგლის ამბავი გვითხარი!

**კიკილა.** აბა, რა გვიამბოთ, რა ვიცი.

**თამრო.** შენ რო სთქვი, მონადირე ვიყავიო, — შენი ნადირობისა გვიამბე რამე.

**კიკილა.** მონადირე მართლაც ძალიან კარგი ვიყავი, ამბებიც ისეთი გადამხედია, რომ შიშისაგან თმა ყალყზე დაგიდგებათ და მეფიქრება, არ შეგვეშინდეთ...

**გიო.** არ შეგვეშინდება, ჩვენც ეგეთი ამბები გვიყვარს.

**თამრო.** აბა, ძიავე, სთქვი, სთქვი!



კიკილა. კარგი გიამბობთ... ბიჭო გიო, შენ ცოტა მიიწიე, ჯოხის ხმარებას მიშლი.

გიო. ოღონდ გვიამბე და აი მივიწიე... შენც არხეინად შეგიძლია ნაცარი ჰქექო...

თამარ. ნაცარი რამდენიც გინდა ჰქექე, ძიავ, ოღონდ...

კიკილა. (შებღვრით გაწეკატინებს) თქვენ ეი, თხუნელებო. დამცინით კიდეც!... დამაცადეთ, გაჩვენებთ თქვენს სეირს...

თამარო. ნუ გაგვიწყრები, ძიავ, გაგეხუმრეთ... გვიამბე გენაცვა, აღარ გაწყენინებთ... ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ. (მოკხევა და ავტებს).

გიო. (ისიც კხევა) თუ გაწყენინეთ, გვაბატიე... თორემ ჩვენც გაგებუტებით...

კიკილა. (გუდაშებს) კარგი, ბუტიებო, დასხედით!...

თამარო. აბა, ჩუმაღ იყავ, გიო, და ყური დაუგდე!

გიო. (წირზე ხელს შიამფარებს) აი, ჩუმადა ვარ... (დასხდებიან მშვიდად).

კიკილა. (ჩახელებს და დაწეკატინებს) ჩემს ახალგაზრდობაში ძალიან განთქმული მონადირე ვიყავი; ჩვენებური მონადირეები უჩემოდ სანადიროდ არ წავიდოდნენ, მეტადრე სხვილ ნადირზე. გზები და ბილიკები უღრან ტყეებში ჩემისთანად არც ერთმა იცოდა და მუდამ მებვეწებოდნენ წავყოლოდი და წინამძღოლობა გამეწია მათთვის... ერთხელ, — ზამთარში იყო ეს ამბავი — მოვიდნენ ახლო-მახლო სოფლების მონადირეები, — ტყუილი რომ არ შემამჩნდეს, ასე ას კაცამდე იქნებოდნენ...

გიო. უჰ, უჰ, რამდენი ყოფილან! ..

თამარო. გიო, გაჩუმდი, ნუ უშლი!

კიკილა. ჰო და, მოვიდნენ, შემებვეწენ, გავყოლოდი დათვზე სანადიროდ, რადგან დათვზე ნადირობა ჩემისთანად არავინ იცოდა... მე მეზარებოდა, სულ ქვეშ რომ ვსთქვა... თქვენც იცით, პატარა სიზარმაცე კი მჭირს, მართლაც... მაგრამ რა შექნა, ხათრი ველარ გავუტეხე იმოდენა მოხდვავებულს ხალხს და წავყე... წავყე, ბიჭებო, მაგრამ რა? თოვლია ისეთი, ისეთი, რომ მკერდამდე მივარღვევთ, სიარული გვიჭირდება. მაგრამ ჩვენისთანა გულად ბიჭებს ეგ დააბრკოლებს!...



(ამ დროს შემოდის ბეშების დედა, მართ, ისე, რომ ნაცარქექია და ბეშება ვერ გაიგებენ; მართას ხელში თახჩი უჭირავს, ეტეობა სამუშაოდან მოვიდა. შემოსვლის შემდეგ იქვე კარებთან შეჩერდება თახჩე დაბჯენილი და უურს დაუდგებს თვითონხან).

მივლივართ... მიველით ტყეში, გავიარეთ ნამქერებით სავსე ხევები, გადავიარეთ მალალი მთები და მივატანეთ იმ დიდს ფლატეებს, სადაც მეგულებოდა დათვის ბუნაგი.. ფლატეებია, ბიჭებო, ისეთი მალალი, ისეთი მალალი, ძირიდან რომ შეშხედო, ქუდი გადმოგვიარდება... ჰო და მიველით... თოვლია ისეთი, რომ ყელამდი შიგ ვიფლობით, მაგრამ ჩვენ ვგ შეგვაშინებს!... ისე დავხტივართ, როგორც კანჯარი მინდორში...

გიო. (შოუთმუნლად) დათვი, ძიავ? ბუნაგს მიაგენით? ის გვითხარი ჩქარა...

თამრო. მოიცა. გიო, ნუ უშლი, რა დაგემართა!..

კიკილა. მე თვითონ მივუძელი ბიჭებს და ბუნაგს ზედ მივაყენე...

გიო. | აი ვე არის კარგი... სთქვი, სთქვი, ძიავ, მალე!...  
თამრო. | (გმუჟავს და ხელებს აფშენებენ საამოფინებთ).

კიკილა. (გატაცებთ) ის იყო წრე შემოვავლეთ ბუნაგს, ჩავუსაფრდით და მოვიმარჯვეთ იარაღი... მე, როგორც მეთაური, ბუნაგის წინ ვიყავ ჩასაფრებული; დათვი რომ გამოვიდოდა, პირველად მე უნდა დამძვრებოდა... და, აბა. რა ყოფაში ვიქნებოდი, ხომ თქვენც გაიგებთ... მართლაც, უცებ ბუნაგიდან თავი გამოპყო დიდმა დათვმა; კბილები დაეღრინა და თითქოს ჩემს გაფლეთას აპირებდა... გულმა სულ ძაგი-ძუგი დამიწყო... მერე სულაც გამოძვრა ბუნაგიდან დათუნია, ადგა უკანა ფეხებზე, წინა ტორები აი, ესე გაშალა (თვათონხან წამოაწვეს და ხელებს გამღის, ვითომ დათვს აჯავრებს) და წამოვიდა ჩემსკენ... მე ჯერ ქრუანტელმა დამიარა, მაგრამ მაინც ომახინანად შევძახე: თაფლიქამია დათუნიას გაუმარჯოს მეთქი და... (ამ დროს მართა წინ დაუდგება და შესხუბითვე უმასხუხებს).

მართა. გაგიმარჯოს. ნაცარქექია დევგმიროვო!.. ასე გიპასუხა, არა, იმ დათუნიაში?.. (კიკილა უცებ რომ დაინახავს რძალს, ისე შეკრთება, რომ მოწვევით ძირს დაეცემა და მობუსხული ხმას ადარ იღებს)



კიკილა. (კვნესით) ვაიმე, ვაიმე...

მართა. რაღას გაჩემდი, მკვებარავ? განაგრძე შენი ვაჟაკობის ამბავი!..

ბავშვები. (უკმაყოფილოდ) უპ, დედა, რა ცუდს დროს შეუშალე ხელი... მერე რა კარგი იყო...

მართა. ვინ უშლის, განაგრძოს... ბაქიაოზა და ერთ ტარტარი მაინც შეუძლია, თუ სხვა საქმის გაცეთების შრომერთს არ მიუცია.. ბრძანე!... ბრძანე!... (თოხს შაყუდებს).

კიკილა. (კვნესით) ვაიმე, ვაიმე...

თამრო. რა იყო, ძიავ, რადა კვნესი?

მართა. დათვი თუ ველარ დაიჭირა ხელ და ხელ!..

კიკილა. გვერდი ამტკივდა, გვერდი!.. ვაიმე...

გიო. ძიავ, მაშ დანარჩენს აღარ გვიამბობ?..

კიკილა. (კვნესით) ახლა ვერა, შვილო, ავაღა ვარ (მაიკუნტება ბუხართან).

თამრო. (წამოსტება და ჯვასთან შიშბუნს) დედა, რომ იცოდე, რა კარგი და საშინელი ამბავი უნდა ეამბა ძიას...

გიო. (ასივ მავა) ახ, ახ, რა კარგ აღვიღას გააწყვეტინე, დედილო, ამბავი... ნეტავი კი მალე გავიგო, მერე რა მოხდა... მეც ისე მინდა სანადიროდ წასვლა, ისე, ისე, რომ პური არ მომშივა ეგრე ძალიან...

თამრო. მართლა კარგი იქნება ნადირობა, არა, დედილო?..

მართა. (სიამოვნებით უყურებს შეიღებს) კაი დაემართოს იმის მოყვარულს!..

გიო. (ბუჟაკს) მე კი ძალიან მიყვარს და! მე უნდა მონადირე ვიყო დიდობისას! დათვი რომ შემხვდება, აი, ასე წავჭიდებ ყელში ხელს (თამროს წაფლებს ხელს), ჯერ მოვიქნევ, დავანარცხებ, მერე წავუჭერ და ხელად მივახრჩობ თათლი-ქამიას.. (თამროს უბღვარძუნება, ის უფროს და წდილობს გაუშვას, კიო არ უშვებს, უნდა წააქციოს, დედა შეშველება.)

მართა. გიო, ბიჭო, გაანებე თავი ამ გოგოს... (გიო განგრძობს) შე დამთხვეულო, არ გესმის, ხელი გაუშვი მეთქი!... (ორი-ორჯე წაუთაქებს, კიო ხელს გაუშვებს და უფიროდით გარბის განზე, თამრო ბუხდუნებს).



აი შენი ნადირობის ამბებს რა მოაქვს, ჩვენო ამშენებელო! ბავშვები გადარიე... იმის მაგიერად რომ საქმე რამე გააკეთო ოჯახში, ან გასთოხნო, ან დაშბარო, ან წყალი მაინც მოიტანო მაგ საოხრო მუცლისთვის, ზიხარ კერის პირას მოკუნტული ქეციან კატასავით და ნაცარსა ჰქექავ... მე ქვრივი დედაკაცი ვმუშაობ გათენებიდან დაღამებამდე, ჩემთვის ერთი წამი მოსვენება არ არის, შენ კი მკვდარივით ადღიხარ სახლში და ქამის მეტი არაფერი გეკითხება! ფუ, შენს კაცობას!.. მე მეტი აღარ შემიძლია მოთმენა! ან შენ უნდა იყო ამ სახლში, ან მე... თუ შენც არ იშრომებ, ერთს ლუკმას აღარ მოგაწვდი. იყავ მშვიერი და მწყურვალი!..

(ბავშვა ამ ლაპარაკის დროს შიშხლოვებიან დედს და შეშერთადი შექუქუქებს).

**თამრო.** ნუ ჯავრობ, დედა! ძიას ნუ გაუჯავრდები.

**მართა.** ჩუმად ეგდე! როგორ თუ ნუ გაუჯავრდები? მაშ მე ვიმუშაო და მაგან მხოლოდ ქამოს ხელგაუნძრევლად?! მაგის თიგბს, როგორ არა!.. ვისაც ქამა უნდა, ის კიდეც უნდა შრომობდეს, წესი ასეთია!.. აქამდე რაც მოვუთმინე, ისიც ეყოფა. ახლა თუ არ გაირჯება, სახლიდანაც გავიპინტრიშებ, როგორც ბაყაყს, ხელიკს, ჯოჯოს, თავგს და სხვა მანე არსებას...

(ბავშვა შეფიქრახებული არიან).

**გიო.** სამაგიეროდ როგორი კაი ამბები იცის ძიამ...

**კიკილა.** ვაიმე, ვაიმე...

**მართა.** დაიკარგეთ იქით შენც და ეგეც თავისი ამბებით... ამბები ვინ არ იცის, მაგრამ საქმესაც აკეთებენ... მაგას კი ჭირივით ეხარება რისმე გაკეთება... მაგის ამბებიც სულ მოგონილი და ტყუილებია. სადღაც გაუგონია და ახლა ისე გიამბობთ, თითქოს თვითონ გადახედოდეს ყველაფერი... ეგ დიდი თქვია და არა-ქნია!.

**თამრო.** დედა, ძია ახლა ავად არის და იმიტომ ვერა მუშაობს... თვითონაც ეგრე გვითხრა.

**მართა.** მაგის მზემ! ავად კი არა, კლექიანია საწყალი!... ავადმყოფი დღეში ხუთს პურს და ოთხ ჯამ ლობიოს შესქამს? კაი ავადმყოფი ყოფილა!.. ბევრი ლაპარაკი საქირო აღარ არის... აი, ახლა ვენახიდან ამოველ, რომ მქადი

გამოვაცხო; შეშა—ფიჩხია საკირო... ადექ, წელმოწყვეტილო, ახლავე ადექ და წადი, მოიტანე საიდანმე, თორემ დღეს პურს არ გაქმევ!...

კიკილა. ვაიმე წელი!... ვაიმე წელი!... წელი!...

მართა. ნუ კენესი, ადე და წადი, თორემ!..

კიკილა. (შესაბრაღისად) აბა, როგორ წავიდე, წელი ცალკე მტკივა, გვერდში ისე მჩხვლეტავს, თითქოს გახურებულ შამფურებს უყრიანო... ვაიმე, ვაიმე...

მართა. ისეც წელიც მოგწყდება და თავიც, რაც არაფერი გტკივა! ზარმაცი ხარ, უქნარა, მუქთახორა! აი, რა გტკივა შენ!

კიკილა. ჩემმა მზემ და კარგი მამიჩემის ცხონებამ, წელი მტკივა...

მართა. დღეს თუ ეგრეა, გუშინ და გუშინწინ?

კიკილა. (შვირე ფიქრს შეჰდებ) აღარ გახსოვს, მთელი კვირის განმავლობაში მუცელი როგორ მეწოდა! თითქოს შიგ წითლად გავარვარებული ნაღვერდლები ჩაუყრიათო... ისე ვწიოდი, როგორც წყალმოწყურებული ძერა!

მართა. ერთი კვირის წინ, ერთი თვის წინ?

კიკილა. მაშინ კიდევ ხან თავი მტკიოდა, ხან გულ-მკერდი...

მართა. (შატკვათ გაწვევინებს) გაჩუმდი, გაჩუმდი, შე მატყუარავ!... შენ თუ გჯერა ეგენი, თორემ მე არც ერთი მჯერა... ენა გრძელი გაქვს და თავის გამართლებასაც ცდილობ... ეგ ენაც რომ არა გქონდეს, თავგები ხომ სოროში შეგათრევდენ, როგორც ქიანს კაკალს...

კიკილა. (შესაბრაღისად თავის მოკატუნებით) რადა მჩაგრავ, ჩემო რძალო, რა დაგიშავე?... (ტირილი ეწევა) მე განა ისეთი კაცი ვარ, რომ შენ ეგრე მეტკევი!... ვაი, ჩემს ყოფას! ვაი, ჩემს სიცოცხლეს!... მერე როგორ მიყვარხართ ყველანი და ეს გვრიტები ხომ ჩემს თავს მირჩვენია!... (ბავშვები საბრაღულით ივსებათ).

მართა. მაშე პატივისცემა და ღიდება თუ გეკუთვნის, რაში? მთელი დღე ეგრე კუნძივით რომ აგდიხარ უქმად და პურს მუქთად მიირთმევ, იმაში?!..

კიკილა. (ტირის) ვაიმე... ვაიმე უბედურს!...

მართა. შენ თუ კაცი ხარ და კაცად გინდა იყო, ადექ, გადი



გარეთ, ქვეყანა დიდია... ხელი გაანძრიე, თვალი გაახილე, გონება ააშუშავე... ან გაიგებ რასმე, ან იზოვი... მაშ ეგრე კერის პირას ჯდომა ხომ სიკვდილზე უარესია!... მეც აღარ შემძლია შენი შენახვა,—აი, ნეტავი ჩემი შვილები შევინახო... და თუ დღეს პურის ჭამა გინდა, კიდევ გიმეორებ, ადექ ახლავე და შეშა-ფიჩხი მომიტანე!...

კიკილა. (კუნკით და წუწუნით) აბა, სად წავიდე ავადმყოფი კაცი... სად ვიშოვო, ან ვინ მომცემს შეშა-ფიჩხს, ან როგორ მოვიტანო, წელი ძალზე მტკივა...

გიო. (ხეყნით) დედილო, გენაცვა, მე და თამრო წავალთ, ჩვენ მოვიტანთ შეშასაც და ფიჩხსაც, ოღონდ ძია შინ იყოს...

თამრო. (ასევე) დედილო, ძია ავად არის, ცოდოა, ჩვენ წავალთ...

კიკილა. (კახარებუა) უი, თქვენ კი გენაცვალოთ ძია კიკილა მაგ კეთილ გულებში, რომ ეგრე გებრალეებით!...

მართა. როგორ გაუხარდა ამ უბედურს, რომ გარჯა აღარ დასჭირდება!...

გიო და თამრო (მადან) დედა, ჩვენ მივდივართ და ახლავე მოვიტანთ. (გადას).

მართა. კარგი, თქვენ მაინც წადით! (კაილას) მაშ რაკი შენ ეგრე წელი გწყდება საქმისთვის, წადი აქედან და, სადაც გინდა, იცხოვრე...

კიკილა. რადა, ჩემო რძალო, რას გიშავებ? აი, ვზივარ ბუხართან და არაფერს გაწუხებ...

მართა. ((გაწაწმტებუა)) როგორ თუ არაფერს მიშავებ! მაშ რას აკეთებ? არაფერს! ჭამა კი გინდა—ვინ უნდა გაჭამოს?... ადე, ადე!... წადი, დაიკარგე აქედან, თორემ მოთმინებიდან გამოვალ და მაშინ უფრო ცუდად იქნება შენი საქმე!...

კიკილა. (ხეყნით) ნუ გამაგლებ, ნუ დამლუბავ... აბა, სად წავიდე, რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე!... არც ხელობა ვიცი რამე, არც მუშაობა შემძლია, ავადმყოფი კაცი ვარ... (ტირაღით) ნუ გამიმეტებ ეგრე, მართავ, იყავ კეთილი, როგორც დღემდის.. ამას იქით უფრო ცოტასა ვქამ, ხუთი პურის მაგიერად ოთხს ვიმყოფინებ, ოღონდ ნუ დამკარგავ... ხომ იცი, როგორი გულჩვილი და მორიდებული კაცი ვარ...

მართა გულჩვილი და მორიდებული კი არა მხდალი და მშინშარა ხარ... მაგრამ არა გიშავს რა, გამოიწრთენები და კკუას ისწავლი, ცხოვრებას გაიცნობ...

კიკილა. ვაიმე, ვაიმე!... მე უბედურს რა მომეღოს ნეტავი?

მართა. აი ახლავე გაგიშადებ საგზალს (შობრუნება, კილაბ-ნაღან ამოღებს მჭადს და უკვლავს ნაჭერს). აი, ეს ერთი მჭადი და ახალი ყველი, ჯერჯერობით ეს გეყოფა, მერე შენ თვითონ იშოვი... აბა, იგემე, ლუკმის შოვნა როგორია!

კიკილა. (მუდართ) მაშ აღარ იშლი, მართა, უნდა წავიდე, დავიკარგო?

მართა. უნდა წახვიდე. საცხოვრებელი უნდა იშოვო შენთვისაც და შენი ძმისწულებსთვისაც. ხომ იცი, რა ღარიბი ვართ... ნულარ გააქიანურებ, აიღე გუდა და გზას გაუდექი... ადე, ადე, ნუ გეზარება. (ხელს წაუღებს და ძალით აუენებს).

კიკილა. (გაღწევით) კარგი, იყოს შენი ნება, მაშ გუდაში ნაცარი მაინც ჩამიყარე... რაც მომივა, მომივიდეს, თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო...

მართა. (აუაურებს) თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო!... მარტო ჩვენი კი არა, შენი ჭირის სანაცვლოც უნდა იყო... საჭიროა... ნაცარი კი, რამდენიც გინდა, მიირთვი. (გუდას წამოიღებს სკიდადან და ხანით აუენებს).

კიკილა. (დამარტულია) ვინ იცის, რომელი მგელი ან ტურა შემქამს აჰალამ (თავს აჩვენებს).

მართა. დათვებზე სანადიროდ შენ დადიოდი და ახლა ტურისა გეშინია, ბაქიავ! აჰა, ეს გუდა ნაცრით, ეს ყველი და მჭადი, — აიღე ყველაფერი და წადი!...

კიკილა. ნათქვამია, დედაკაცმა ცხრა უღელა ხარს აჯობაო და მე ხომ ნახევარი ხარის ოდენაც არ შემიძლია... რა გაეწყობა. ეჰ... (ეშხადება წასსეულად, აიკიდებს გუდას, უკვლავს და მჭადს ხელსასიღმა გასევეს. ამ დროს შემოდინ ბეშება მხარულად. ისმის ქუნალი).

გოა და თამრო. მოვიტანეთ, მოვიტანეთ... ოჰ, ოჰ, რა წვიმა მოდის, რა წვიმა... როგორა ქუხს და ეღავს!... (დახსავენ ძაას სმგზავროდ გამზადებულს და კამტრეკეული არიან მღირე ხანს, მერე ღუდას მიკევეიან ხეწინათ).

**გიო.** დედილო, შენი ქირიმე, ძია დარჩეს შინ, ცოდოა...  
**თამრო.** დედილო, გენაცვა, ნუ გაუშვებ... გარეთ ახლა  
ისეთი ცუდი ამინდია, რომ..

**გიო.** აბა, გაიხედე, როგორი წვიმაა და ქექა-ქუხილი..  
**მართა.** თქვენ თქვენთვის იყავით, ვინც არას გკითხავთ...  
**გიო და თამრო.** დედილო, დედილო, გენაცვა, დაილუბება,  
ცოდოა...

**მართა.** თქვენ არხეინად იყავით, ეგ არ დაილუბება; მარ-  
თალია, მშიშარაა, მაგრამ ენა აქვს სამაგიეროდ ისეთი მჭრე-  
ლი, რომ ყველას აჯობებს...

**გიო და თამრო.** (დადონებულა მიუხელოვებინ ძაის და ემშვადობე-  
ბან, ბაჟუბად და კაკილად ტირიან) მშვიდობით, საყვარელო ძიავ...  
ზღაპრებს და ამბებს ვილა გვიამბობს!...

**კიკილა.** მშვიდობით, ჩემო გვრიტებო, არ დამივიწყოთ...  
ხანდახან მოიგონეთ ხოლმე თქვენი დაკარგული ძია კიკილა...  
(თვალებს აწმენდავს. ეთხოვებან და კაკილა შიდას, ბაჟუბა ტირიან, მართა  
ამშვადებს შათ).

**მართა.** ნუ ტირით, შვილებო, ნურც იჯავრებთ! თქვენს  
მხესა ვიფიცავ. ეგრე სჯობია იმისთვისაც და ჩვენთვისაც,  
თორემ მალე ენახავთ... ან იშოვის რასმე, ან მუშაობას მიეჩ-  
ვევა; გარეთ გასული კაცი გამოიცივლება ხოლმე... რომ გაუ-  
ქირდება, გაირჯება და შრომას მიეჩვევა... ზარმაცი კი მკვდარ-  
ზე უარესია...

(ამ დროს კიკილა, წვიმისაგან გაზუნზღვლა, თავს შემოჭყოფს კარუბ-  
ში და იახხის):

**კიკილა.** მართავ, შაი, მართავ! ერთი ან სადგისი, ან მახათი  
შაინც მომეცი, ვინიცობაა, იქნება დამქირდეს... უპ, როგორა  
წვიმს, ხალხო, როგორა, რომ კოკის პირულია რაღა!.

**მართა.** ახლავ მოგცემ სადგისს, მანდ მოიცა... (შიდას სად-  
გისის მოსატანად).

**კიკილა.** (სეუწნით) მართავ, ჩემო რძალო, ძალიან პირქუში  
ამინდია, მოდი დღესაც შინ დავრჩები და ხვალ დილით წა-  
ვალ... საცაა დაღამდება კიდევ...

**მართა.** (სადგისს აიღებს და ამ სიტუებზე სწრაფად მოტრიალდება).  
ატა, ტა, ტა! არ იქნება! რაკი ფეხი აგადმევეინე, ახლა შენი



მობრუნება აღარ შეიძლება... არა, არა და არა! აჰა, სადგისი და გზას ბარაქა დააყარე!...

**კიკლა.** (დამბრუნებულა თავის ქნევით) ვაიმე.. ვაიმე! რა მეშველება, სწორედ დავიღუპები... (ისევ ღვას კარუშში).

**მართა.** არ დაიღუპები, თუ მოხერხებით მოიქცევი... წადი, წადი... (შევა და თათქმის ძაღვად აგდებს, კარს ჰსურავს, კაკაღაც შეაფარებს დრო და დრო ისმის ქუხაღი).

**გიო.** დედი, ძია ძალიან მეცოდება.

**თამრო.** მეც ძალიან მებრალება. (ტირაფს ახარებს).

**გიო.** (სერიალზულად) როცა წვიმას გადიღებს, მე ძიას კვალს გაყვები... ვიბოვი და, თუ გაუჭირდება რამე, ვუშველი.

**თამრო.** (სიხარულით) მეც წამოვალ, მეც წამოვალ...

**მართა.** თქვენ თქვენთვის იყავით! იმას თქვენი შველა არ უნდა...

**გიო.** უნდა, როგორ არ უნდა, მე ვუშველი...

**თამრო.** მეც დავეხმარები...

**მართა.** თუ თქვენ მაგ სისულელეს არ მოიშლით, ბოძზე მიგაბამთ ორსავე და მაშინაც წახვალთ!...

**გიო.** (აშხანხანდა) მაინც წავალ...

**მართა.** (დატრიალდება თოკის საქმენჯლად) აბა, თუ წახვალ და მაგასაც ვნახავ... ახლავე დაგება, შე რეტიანო, შენა!...

**თამრო.** (წუმად) გიო, უუთრათ, აღარ წავალთ თქო და მერე გავიბაროთ...

**გიო.** (წუმადვე) ჰო, ჰო... (დედას უათამ შეხანებით) დედილო, კარგი, რა კი შენ არ გინდა, აღარ წავალთ...

**თამრო.** აღარც მე წავალ, რაკი დედა ჯავრობს...

**მართა.** (თოკს იბოვის და ბრუნდება) აი, თქვე ეშმაკებო, თქვენა, გინდათ მომატყუილოთ? ვერ მოგართვით... ახლავე მიგაბათ... (ტამოუდვება დასტურად, ბავშვები დარბიან ოთახში, დედა დასდევს).

**თამრო.** აღარ წავალ, დედილო, აღარ!...

**გიო.** მე მაინც წავალ, წავალ...

**მართა.** აბა ვნახოთ, როგორ წახვალ!...

დ. ნახუცრიშვილი.

(ფარდა)

•••••



# მადლი და კატა.

1.

უწინ თურმე ფისუნას  
 დაემართა ეს ამბავი:  
 ჭონი იყო ხელობითა  
 თბილ ქუდების შემკერავი.



მადლს სცოდდა და, თავლია  
 როს დარბოდა სხვისა კერად,—  
 ნახა ტყავი და ჩვენს ფისოს  
 მიუტანა შესაკერად.

— გამარჯობა, ძმაო ფისო,  
 ჰა, მასხალა უველ:ფერი.

ოღონდ ქუდი შემიკერე  
 ჩემი თავის შესაფერი.  
 ხელფანისთვის ნუ იღარდებ,  
 გამოძარბოვი, რაც კი გსურდეს,  
 ოღონდ სიტყვა დანაპირი  
 თავის დროზე შემიხრულდეს.

— რა გაწუხებს, ჩემო ცუგა,  
 რა გადარდებს, თვალის ჩინო,  
 გაგონილა, რომ მე ფისომ  
 შენთან ჰირი შევირჯხვინო?  
 ქურქი ხომ არ შემიკვეთე,  
 ერთი ქუდი არ გჭირია?  
 წადი, იუაუ არხეინად!  
 მხად იქნება ამ კვირიც.  
 შენი ნახვა მე უოველთვის  
 მია... მია... მიაძებე,—  
 მაგრამ ფულზე ნუ ვივაჭრებთ.  
 ასეთია ჩემი ნება.

დანიშნულ დროს, — როცა დილა  
 ვარდს უურიდა ოქროს საკენკს,—  
 ჩემი ცუგა გაეშურა  
 ოსტატ ფისოს დუქნისაკენ.  
 ოსტატი რომ არ დაუსვდა,  
 აიბეიკა ცუგამ კუდი:  
 „აღბად ჰირი შეირცხვინა,  
 ვერ შეკერა ჩემი ქუდი!“  
 მადლმა ღრენას მოუხშირა:  
 „მეტავ, საით დამეძალე!“  
 ბიჭმა უთხრა: „ოსტატს ეძებ?  
 მოიცადე, მოვა მალე!“

## 2.

ქურქ ჩაცმული მოდის კატა,  
 ჭმუენის რხევა ამჟღერო;  
 ძალლი კარზედ დაინახა,  
 ააცქვიტა ორივე უური.  
 უღვაძს თათი გადაუსვა,  
 კაბრახდა და დაიუვირა:



— რა ილაჯი გამიწვევით,  
 არ განულა ჯერ ხომ კვირა?  
 ადვილი ხომ არ გკონია,  
 ვმუძაობდი დღე და ღამე!  
 ეს-ეს არის შენი ტუავი  
 შირის წუალით გადავხამე.

— დალოცვილო, რადან ჯავრობ,

ავისრულე ხომ ეოველი,  
 როგორც მითხარ, სწორედ იმ დღეს  
 წასაღებად ამოველი!  
 შენ ქურქში ხარ, მე კი მცევა,  
 თავლია ვარ, კენაცვალე.  
 რა გაჯაურებს! მხად არ არის?  
 მითხარი და მოკალ სვალე!  
 კარგად ცდი, მორსა ვდგევეარ,  
 რასა მტანჯავ, ნეტა, რისთვის?  
 ღირს რომ ხშირად გავისარჯო  
 ჭამ! ჭამ! ჭამ! ჭამ! ამ ტუავისთვის?  
 დაეთხოვა ძალლი კატას,  
 ფიქრობს: გაწეღეს კატის რჯული,  
 მთელი დილა გამაცდინა,  
 შინ ვბრუნდები კატანჯული.

## 3.

ძაღლმა კატას თავის ქუდი  
 მიაკითხა კიდევ სძირად.  
 მაგრამ კატა სულ ატუეებს,  
 არ იქცევა ზირღაზირად.  
 ამ ქაშად კი ჩვენმა ძაღლმა  
 მეტი ვეღარ მოითმინა —  
 ეცა კატას გამმაგებით,  
 შეუეფა, შეულრინა...  
 დაიხარჯა უამრავი  
 სიტუვა მწარე, სალანძღავი,  
 აირია ერთმანეთში:  
 დედა, ძაძა, კარგი, ავი,  
 „ქურდო ფისო!“ „ქანაღ ძაღლო!“  
 მოისმოდა ორივე მსრიდან.  
 ერთი კლანჭებს ილესავდა,  
 და მეორე — ცოფებს ჭერბდა.  
 საქმე ისე გაზვიადდა,  
 საქმე ისე გაიზარდა,  
 რომ ამ დავას ვერცინ მოსწობს  
 სასამართლოს წესის კარდა.  
 მაგრამ ვიდრე ჩვენი ძაღლი  
 ამ საქმეზედ სალხსა ჭკრებდა,  
 ვიდრე ვეკილს იმოვიდა,  
 ვიდრე გსახედ ეველას ჭეფდა, —  
 ჭონი ფისო მთლად გაკოტრდა,  
 თავს დაედო ქუდი ხარკად.

ცამ ჩანთქა თუ მიწამ სჭამა  
გადიძალა, გადიკარგა.

4.

და მას აქეთ ჩვენი მადლი  
კულში ბოდმას დაატარებს,  
ვევლგან ეძებს თავის ქუდსა,  
უკაკუნებს ვეულას კარებს.  
სადაც კატას დაინახავს—  
დიდს, ზატარას, კარგს თუ ავსა,  
მივარდება, მიახტება  
ედავება თავის ტუავსა.  
და კატა კი—ის ზირმავი—  
შეჭფურტუნებს: „ვა-მე! ვა-მე!  
აკი გითხარ, შენი ტუავი  
ნერწუვით ასე გადავინამე!“...

ი. გრიშაშვილი.



## სამინელი მიწისძვრა იაპონიაში.



ქვეშემა გვაძინო მეტად სამწუხარო ამბავი: პირველ სექტემბერს სამინელმა მიწისძვრამ იაპონიაში გაანადგურა 14 დიდი ქალაქი და მრავალი სოფელი, მათ შორის დედაქალაქი ტოკიო. დაღუპულა ორი მილიონი ხალხი. ამოხვოქილა ცეცხლის მთები. ამ მთებიდან გადმოდგნილა ცხელი ტუტა, ლავა, და მოუსპია ტყეები, სოფლები, ქალაქები, ადამიანები, ბაღები, ეზოები, შინაური ცხოველები. ერთი მდინარე წასულა პირადმა, დაუფარავს წელთ მიდამოები და დაუჩრჩია მრავალი ხალხი. დაჭრილთა და დასახინრებულთა რიცხვი უამრავია; ქვეყნის წარადი აუნუსხავი. გადარჩენილი ხალხის უმწეო მდგომარეობა აუწერელია, რადგან ეველაფერი მოესპათ და გაუნადგურდათ.

— შარტო ტოკიოში დამწვარა და დანგრეულა მიწის ძვრისაგან გარდა საჩელმწიფო შენობებისა, 300 ათასი კერძო სახლი. სხვა ქალაქ-სოფლებში დანგრეულ და დამწვარ სახლებს ვიდა დასთვლის! ზღვების სამინელ დეღვის გამო მრავალი კემი და სომალდი დაღუპულა.

ერთი სიტყვით, ბედმაჲ იაპონიაში დატრიალებულა სამდვილი ჯოჯოხეთი. გააფთრებელ სტიქიონს 20 საათში გაუნადგურებია ეს ტურფა და აუვავებული ქვეყანა.

ასეთი სახარი ამბავი ჯერ არ მომხდარა ქვეყანაზე. ბევრჯერ უოფილა დიდი მიწისძვრა, ბევრი ქალაქი და სოფელი მოუსპია, ბევრი ხალხი დაუღუპავს, მაგრამ ასეთი სამინელი, რაც ამ დღეებში იაპონიაში მოხდა, ჯერ არ მომხდარა და არ გაგონილა.

შეიძლება ზოგ თქვენგანს არ ჰქონდეს გაგონილი, თუ რა ქვეყანაა იაპონია. იგი მდებარეობს აზიის აღმოსავლეთით, დიდ ოკეანეში და შესდგება რამდენიმე მოდილო და



ზაწია კუნძულებისგან. იგი სივრცით ძლივს უდრის რუსეთის ერთ გუბერნიას, ხოლო ხალხით მეტად მჭიდროდაა დასახლებული. იაპონია მეტად ძლიერი და განათლებული სასელმწიფოა. იაპონელები მონგოლის მოდგმისაა, უკითველ კანიახები. მეტად ნიჭიერი, მშრომელი და პატიოსანი ხალხია. მათი მხეობა, სამშობლოს სიუვარული, მაღალი წნეობა და სიძამაცე ჰირდაჰირ საარაკოა. იაპონელს მეტად უყვარს სისუფთავე, სიფაქიზე, სიმშვენსიერე, ხელოვნება და მეცნიერება. მისი სახლი შეკეულია ბაღით და უვაჯილებით, რასაც ერთგვარი კატაცებით უვლიან; როგორც ბავშვები, ისე მათი მშობლები.

სშირი მიწისძვრის გაძო იაპონიის სახლები უმთავრესად ფიცრულია, ან ძაქაო საკან<sup>1)</sup> გაკეთებული, ჰატარა და ერთსართულიანი. ეზო და ბაღია დაკრიალებულია, ოთახებში სომ საარაკო სისუფთავეა. აგრეთვე ნამეტანი სისუფთავეა ქუჩებში. გამვლელს ნება არა აქვს მიწასე დაფურთხების, ამისთვის ის იხდის დიდ ჯარიმას. იგი ვაღდებულია იქონიოს ჯიბის საფურთხი კოლოფი. იაპონელი მთელი ოჯახობით ეოველ დღე ბანაობს და სშირად იცვლის თეთრეულს. იაპონიაში სასტიკად სდეჟნიან ბუჩებს, კოლოებს და ეოველგვარ ძაქნე მწერებს, რომლებიც აწუსებენ ადამიანს და აჩენენ ათასგვარ გადაძებ სენს. იქ ბეჯითად იცავენ ჰიგიენას, რის გამოც ხალხი მეტად ტანთელია და დიდ ხანსაც ცოცხლობს. ამავე დროს იაპონელი მეტად მშრომელია, საქმიანი, მეცადინი და უნარიანი. ისინი ერთი მეორის დამხმარეა და პატიოსნებით აღჭურვილნი. ქურდობა, ძარცვა, აჯანჯობა, სიცრუე, სისარძაცე იაპონიაში მეტად იშვიათი მოვლენაა.

უმეველეს დროიდანვე იაპონელების უმეტესობა ეწეოდა და დღესაც ეწევა მიწის მუშაობას, ანუ მეურნეობას, ე. ი.

<sup>1)</sup> კარდონი.






ჭირნახულის მოუვნას, მებაბრეშუმეობას, ბაღოსნობას, მებოსტნეობას და სს. ამ მხრივ მათი მეურნეობა და სამეურნეო ტექნიკა მეტად განვითარებულია.

იანონელნი უძველესი კულტურის საღისია, ისე როგორც ჩინელნი და ინდოელნი. ისინი საუკუნეების განმავლობაში მოწვევტილი იუვნენ განათლებულ ქვეუებს. მსოფლოდ ამ 60 წლის წინ იანონელები გაეცვნენ ევროპას და ამერიკას, დაიწვეს იქ მოგზაურობა, შეისწავლეს მათი ენა, ტექნიკა, მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება და ვაჭრობა-მრეწველობა; გადაიტანეს უოველივე ეს თავის ქვეუანაში, მოჭუნეს თავის ქვეუანა სხვადასხვა სახის ევროპიული სკოლებით, სახელოსნოებით, საჯაჭროებით, ქარსებით და აგრეთვე თეატრებით, აკადემიებით და უნივერსიტეტებით; გაიუვნეს რკინის გზები, გააკეთეს დიდი საჯაჭრო და სამხედრო გემები და მოკლე, ე. ი. 30—40 წლის განმავლობაში თავისი ძალიანი განათლებით, ხელოვნებით, მეცნიერული ცოდნით, ტექნიკით და მრეწველობით არამც თუ გაუთანასწორდენ ევროპა-ამერიკას, პირველ სახელმწიფოებს, არამედ ზოგიერთ რანსმეში გაასწრეს კიდევ. დღეს იანონიას ფრიად საპატიო ადგილი უკავია ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა შორის.

ამ 20 წლის წინ რუსეთის ხელმწიფემ, ნიკოლოზ II-მ, გამოუცხადა ომი იანონიას. მაგრამ ორი წლის მედგარი ბრძოლის შემდეგ იანონიის მხედრობამ გაიმარჯვა რუსეთის ჯარებსზე, დღეს ამ ქებდეს და განათლებულ ქვეუანას თავს დაატყდა სამინელი უკუაურება: იგი განანადგურა სასტიკმა მიწისმჭრამ.



ძია სიმონი.



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ  
აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო  
სმხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემულ  
წიგნების სია.

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგ. 15 კ.	
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. №№	25 „
3. „ნორჩი ძალა“, — კრებული . . . . .	15 „
4. „სამი ამავე“, — შიო მღვიმელისა . . . . .	10 „
5. „კოკროკინა“, — დ. დონდუასი. . . . .	10 „
6. „ბელა ბეკეკა“	10 „
7. „შემოდგომა“, ფერად სურათებიანი წიგნი . . . . .	70 „
8. „დღეაბერი, ტურა და მელია კუდი გრძელა“.	50 „
9. „ბეშუმს“, — გ. ლექსები ქუჩიშვილისა. . . . .	20 „
10. „ტყის ზღაპარი“, — შამინ სიბირიაკისა, თარგ... . . . .	20 „
11. „ტყის სურათები“, შიო მღვიმელისა . . . . .	25 „
12. „კიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . .	30 „
13. „თავისუფალ ბავშვთა სიმღერები“ . . . . .	2 „
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . .	80 „
15. „ტროადის ომი“, — აღ. მიქაბერაძისა . . . . .	80 „
16. „ივანე-არაკნი“, — აღ. მირიანაშვილისა . . . . .	30 „
17. „საბავშვო პიესათა კრებული“ . . . . .	70 „
18. „ივანე სულელი“, — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა . . . . .	15 „
19. „ლურჯი ფრინველი“ . . . . .	50 „
20. „ნაკადული“ 1923 წ. თითო № . . . . .	25 „
21. „ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი . . . . .	40 „
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით. . . . .	50 „
23. „უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი“ . . . . .	45 „
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ . . . . .	25 „



1923 წ.

მიიღება ხელის მოწერა საემანციპაციო დასურათებულ  
ჟურნალებზე:

მოზრდილ. „**ჭეჭილი**“ №-XXXIV წ.

გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მცირეწლოვ. „**ნაკადული**“ №-XIX წ.

გამოდის ყოველთვიურად.

ჟურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-  
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის  
სალიტერატურო სამსახურო სექციის ხელმძღვანე-  
ლობით.

**ხელის მოწერა მიიღება თვითურად.**

ცალკე „**ჭეჭილი**“ 40 კ.

„**ნაკადული**“ 25 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მოწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათ-  
ლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჭეჭილის“  
რედაქცია.

რედ.ქტორი — ხარედაქციო კოლეგია.